ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48. 4825364001**

თარიღი:**30/12/2025**

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 16 ნოემბრის №31 1537 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის გ-49.49253609) განკარგულებისა, „არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს (ს/კ 421268041) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის №ბ48.482334619 დამტკიცებული წესდების მე-3 მუხლის, 1-ლი პუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი”-ს მმართველის 2025 წლის 22 დეკემბრის №13-482535669 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ” წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 16 ნოემბრის №31 1537 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი ერთის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის მმართველს (გ.ალიბეგაშვილი).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი